]

საქართველო
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1143
19/04/2019

1143-01-4-201904191210

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების 2019 წლის პროგრამით გათვალისწინებული პროექტის - ,,თავისუფალი თემა"- ბლოგების შექმნა, გამარჯვებული საჯარო და კერძო სკოლების ბლოგების გამოსავლენად, დროებითი კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების 2019 წლის პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებისათვის - ,,თავისუფალი თემა"- ბლოგების შექმნა, საჯარო და კერძო სკოლების გამარჯვებული ბლოგების გამოვლენის მიზნით, მიზანშეწონილია დროებითი კომისიის შექმნა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე." ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეიქმნას დროებითი კომისია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების 2019 წლის პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებისათვის ,,თავისუფალი თემა"- ბლოგების შექმნა, საჯარო და კერძო სკოლების გამარჯვებული ბლოგების გამოვლენის მიზნით, შემდეგი შემადგენლობით:

ვაჟა ჯუღელი - ააიპ ,,ქალაქ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების'' მმართველი -კომისიის თავმჯდომარე /მოწვევით/;

ელეონორა გოგოლაშვილი- პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების უფროსის მ/შ -კომისიის წევრი;

სალომე ფუტკარაძე - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი -კომისიის წევრი;

მაყვალა ქობულაძე - ააიპ ქალაქ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო გაერთიანების'' განათლების განყოფილების მთავარი სპეციალისტი -კომისიის წევრი /მოწვევით/;

ვალერიან მეძმარიაშვილი - იმერეთის მხატვართა რეგიონალური ორგანიზაციის ხელმძღვანელი - კომისიის წევრი /მოწვევით/;

მერაბ კეზევაძე - ქუთაისის ცენტრალური არქივის დირექტორი - კომისიის წევრი /მოწვევით/;

შოთა აბჟანდაძე - ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის ხელშეკრულებით მომუშავე - კომისიის წევრი /მოწვევით/;

2. დამტკიცდეს კონკურსის დებულება დანართის შესაბამისად /თან ერთვის/;

3.ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციულმა სამსახურმა /ლ.კინწურაშვილი/ უზრუნველყოს კონკურსის პირობების შესახებ განცხადების გამოქვეყნება ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებგვერდზე და ადგილობრივ საინფორმაციო საშუალებებში;

4.ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს მერის მოადგილემ იუზა უგულავამ;

5.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ. კუპრაძის ქ. №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში;

6. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით;

გიორგი ჭილვარია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი